

# რეგიონთაშორისი დისპროპორციები საქართველოში და მათი დაძლევის გზები (ევროპული გამოცდილების მიხედვით)

*იფშირაძე აზა - ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ღავთაძე გიორგი - პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## Interregional disproportions in Georgia and the ways of its' overcoming (in accordance with the European experience)

*Ipshiradze Aza – Associate Professor, Business Administration Department, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Gavtadze George - Professor, Business Administration Department, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

### Abstract

Taking into account a huge role that regions play in solving economic, social and other urgent problems, good planning of ongoing processes, scientific definition of development perspectives and main directions, and their realization in territorial units is an issue of great importance. All these will have positive effects on the positions of the region in a competition at the national and international level.

Competitiveness can be defined as a possibility of the territory to create the economic potential, which will lead to progress, high and stable incomes and attraction of international investors. It is very difficult to speak about the competitiveness of the regions of Georgia due to huge differences in the levels of their development and future perspectives. There is a big gap between the capital city, other cities, municipalities, high mountainous regions and other parts of Georgia.

Problem solving depends mostly on the rise of the role and functions of the regions and thus, regional policy of the country should be based on it. In addition, sharing experience of European countries is vital as it will help to deal with the current challenges existing in Georgia. The regional policy of Georgia, like policy of the European Union should become the policy, which will properly define the future perspectives and will aim for the development of possibilities by mobilizing and utilizing untapped potential.

**Keywords:** interregional disproportions; competitiveness; interregional and local networks; regional policy.

### რეზიუმე

რეგიონების გამოკვეთილი როლის გათვალისწინებით, ეკონომიკური, სოციალური და სხვადასხვა გადაუდებელი ამოცანების გადასაწყვეტად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტერიტორიულ ერთეულებში მიმდინარე პროცესების სწორად დაგეგმვას, განვითარების პერსპექტივებისა და ძირითად მიმართულებათა მეცნიერულ განსაზღვრას და მათ რეალიზებას. აღნიშნული დადებითად იმოქმედებს რეგიონის პოზიციების გაუმჯობესებაზე კონკურენტულ ბრძოლაში, რომელიც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მსოფლიოში.

კონკურენტუნარიანობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტერიტორიის შესაძლებლობა, შექმნას ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრესს, მოსახლეობის შემოსავლების მაღალ, სტაბილურ დონეს და გარე ინვესტორებისაგან რესურსების მოზიდვას. საქართველოს მხარეების კონკურენტუნარიანობასა და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობებზე საუბარი ერთობ გართულებულია ქვეყნის მხარეების განვითარების დონესა და მათ სამომავლო პერსპექტივებს შორის არსებული დიდი განსხვავებების გამო. არსებობს მნიშვნელოვანი დისბალანსი დედაქალაქს, სხვა ქალაქებს, მუნიციპალიტეტებს, მაღალმთიან რეგიონებსა და ქვეყნის სხვა ნაწილებს შორის.

პრობლემების მოგვარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რეგიონების როლისა და ფუნქციური დატვირთვის შედგომ ზრდაზე, რასაც უნდა დაეყრდნოს თანამედროვე რეგიონული პოლიტიკა. ამასთან, არსებითი მნიშვნელობა აქვს ევროპული გამოცდილების გათვალისწინებას, რაც ჩვენთან არსებული

გამოწვევების დაძლევაში მოგვეხმარება. საქართველოს რეგიონული პოლიტიკა (ევროკავშირის მსგავსად) უნდა გახდეს პოლიტიკა, რომელიც სწორად განსაზღვრავს მომავალ პერსპექტივებს და მიზნად ისახავს შესაძლებლობების განვითარებას, არა წარსულის პრობლემების კომპენსაციით, არამედ აქამდე გამოუყენებელი პოტენციალის მობილიზებით.

**საკვანძო სიტყვები:** რეგიონთაშორისი დისპროპორციები, კონკურენტუნარიანობა, რეგიონთაშორისი და ლოკალური ქსელები, რეგიონული პოლიტიკა.


თანამედროვე პირობებში, რეგიონების გამოკვეთილი როლისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, ეკონომიკური, სოციალური და სხვადასხვა გადაუდებელი ამოცანების გადასაწყვეტად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მიმდინარე პროცესების სწორად დაგეგმვას, განვითარების პერსპექტივებისა და ძირითად მიმართულებათა მეცნიერულ განსაზღვრას და მათ რეალიზებას. [5, გვ. 4] აღნიშნული დადებითად იმოქმედებს როგორც რეგიონის სწორი მიმართულებით განვითარებაზე, ისე მისი პოზიციების გაუმჯობესებაზე კონკურენტულ ბრძოლაში, რომელიც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მსოფლიოში.

ცალკეული ტერიტორიული წარმონაქმნისათვის დინამიურად ცვალებად ეკონომიკურ სივრცეში რთულია კონკურენტული უპირატესობების მოპოვება, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის რეგიონებისათვის. მეზო დონეზე კონკურენტუნარიანობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტერიტორიის შესაძლებლობა, შექმნას ისეთი ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრესულ განვითარებას, მოსახლეობის შემოსავლების მაღალ და სტაბილურ დონეს და გარე ინვესტორებისაგან რესურსების მოზიდვას. [3, გვ. 153] ცალკეული რეგიონის კონკურენტუნარიანობას შემდეგი ძირითადი ფაქტორები განსაზღვრავენ:

1. **ეკონომიკური პირობები** - ბიზნეს-სექტორის განვითარება, დემოგრაფიული ვითარება, სამეურნეო სტრუქტურა, სამომხმარებლო ბაზრის მოცულობა, სოციალური ფონი, რეალური მოთხოვნის მასშტაბები, სატრანსპორტო-ლოჯისტიკური პოტენციალი, რესურსული პოტენციალი, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები;
2. **ფინანსური მოქნილობა** - ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების მოცულობა და წილი მთლიან შემოსავლებში, მიმდინარე ხარჯებისა და სამომავლო პროექტების დაფინანსების შესაძლებლობა, ფინანსების დარგში გადაწყვეტილებათა მიღების უნარი და შესაძლებლობა და ა.შ.
3. **ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული სტრუქტურა** - მმართველობითი რგოლის სტრუქტურის მოქნილობა, ცვალებადი გარემოს შესაბამისად გადაწყობის შესაძლებლობა, საზოგადოებრივი მონაწილეობისა და ჩართულობისათვის სათანადო პირობების არსებობა და ა.შ.
4. **ინტელექტუალური პოტენციალი** - რეფორმების სამეცნიერო მხარდაჭერის, ინოვაციური პროექტების განვითარების შესაძლებლობა, კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა, რეგიონული ინოვაციური სისტემის ფორმირება-განვითარების პოტენციალი.

საქართველოს რეალობაში მხარეების კონკურენტუნარიანობასა და მის გაუმჯობესებაზე საუბარი ერთობ გართლებულია. დღევანდელი რეალობის ანალიზი საკმაოდ დიდი განსხვავებების არსებობაზე მიუთითებს ქვეყნის მხარეების განვითარების დონესა და მის სამომავლო პერსპექტივებს შორის (თუ ვითარება უცვლელი დარჩა). სხვადასხვა მონაცემების შესწავლამ ცხადყო, რომ არსებობს მნიშვნელოვანი დისბალანსი ქალაქ თბილისსა და საქართველოს დანარჩენ თვითმმართველ ქალაქებს, მუნიციპალიტეტებსა თუ მხარეებს შორის. აშკარა განსხვავებებია ქალაქად და სოფლად (თემებში) არსებულ ვითარებაში. ასევე, ქვეყნის მაკროეკონომიკის განვითარება და ცხოვრების პირობები, ეკონომიკური თუ სოციალური ფონი, სრულიად განსხვავდება საქართველოს სხვა ნაწილებში არსებული ანალოგიური მაჩვენებლებისგან.


ამასთან, მდგომარეობა წლიდან წლამდე უკეთესობისაკენ არ იცვლება. პირიქით, უკანასკნელ წლებში, დისპროპორციები სულ უფრო გაღრმავდა. აღნიშნულზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ თბილისზე, სადაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 25%-ზე მეტი ცხოვრობს, მოდის ბიზნეს-სექტორის მთლიანი გამოშვების დაახლოებით 70%. ქვეყნის რეგიონებს შორის არსებულ დისპროპორციებზე გარკვეულ წარმოდგენას, ასევე, გვიქმნის ისეთ მაჩვენებლებზე დაკვირვება, როგორებიცაა: მშპ და საშუალო ხელფასის დინამიკა. თუ, ვთქვათ, 2006-2013 წ.წ. აჭარაში მშპ-ს ზრდამ 143% შეადგინა, იმავე პერიოდში, გურიაში, ეს მაჩვენებელი მხოლოდ 53% იყო. საშუალო ხელფასებს შორის თითქმის სამჯერადი განსხვავებაა „ლიდერს“ (თბილისი - 870 ლარი) და „აუტსაიდერს“ (გურია - 328 ლარი) შორის.<sup>1</sup>



რეგიონების მიხედვით ბიზნეს სექტორის გამოშვებაში (ქ. თბილისის გარდა) ოთხ რეგიონზე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი) 2013 წელს მოდიოდა მთელი გამოშვების 72% (იხ. დიაგრამა 1).

კიდევ უფრო დიდი იყო განსხვავებები ბიზნეს-სექტორის გამოშვებაში მოსახლეობის ერთ სულზე. აქ სხვაობა საუკეთესო დონის მქონე ერთეულსა (თბილისი) და აუტსაიდერს (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) 18,7-ჯერადია, მიუხედავად მოსახლეობის რიცხოვნობაში არსებული ასევე ძალიან დიდი განსხვავებისა.

<sup>1</sup> უფრო ვრცლად, იხ.: <http://forbes.ge/news/832/regionebis-ekonomikuri-maraToni>




2016 წლის მონაცემებით, რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში კვლავ თბილისი ლიდერობს: თბილისი - 73.9%; აჭარის ა.რ. - 6.7%; ქვემო ქართლი - 5.7%; იმერეთი - 4.1%; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 3.0%. (იხ. დიაგრამა 2.)

2016 წლისათვის, თბილისი ლიდერობდა რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაშიც: თბილისი - 67,3%; აჭარის ა.რ. - 8,0%; ქვემო ქართლი - 7,7%; იმერეთი - 4,8%; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 3,9%.

თბილისსა და დანარჩენ რეგიონებს შორის ასეთი მკვეთრი განსხვავების გამო, ინტერეს-მოკლებული არ უნდა იყოს რეგიონების მონაცემების ურთიერთშედარება დედაქალაქის გარდა. დიაგრამა 4 ასახავს რეგიონების (თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას 2016 წელს:

დიაგრამა 3

მთლიანი ბრუნვა და პროდუქციის გამოშვება რეგიონების მიხედვით (თბილისის გარდა)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იგივე მდგომარეობაა დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვითაც. საქსტატის ინფორმაციით, რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება: თბილისი - 65.8%; აჭარის ა.რ. - 9.0%; იმერეთი - 6.9%; ქვემო ქართლი - 5.5%; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 3.6%.

რეგიონების კონკურენტუნარიანობაზე, ზემოაღნიშნული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გარდა, წარმოდგენას გვიქმნის ბიზნესსუბიექტების ოდენობა და მათი აქტიურობა. ცნობილია, რომ ბიზნესორგანიზაციები და ინვესტიციები (მ.შ. უცხოური) ინტერესდება იმ ტერიტორიული ერთეულებით, სადაც სხვადასხვა მიზეზთა გამო, მოსალოდნელი მოგების ნორმა უფრო მაღალია, ვიდრე სხვაგან ქვეყანაში. მაგალითად, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, შემდეგი ვითარება ფიქსირდება:

რეგიონები	სუბიექტთა რაოდენობა	აქტიური	%
სულ	653640	167554	100
ქ. თბილისი	285610	69950	43.7
აფხაზეთის ა.რ.	168	15	0.0
აჭარის ა.რ.	56018	16346	8.6
გურია	15929	4281	2.4
იმერეთი	89932	23301	13.8
კახეთი	40837	10738	6.2
მცხეთა-მთიანეთი	12058	2945	1.8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5400	1247	0.8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	51468	12612	7.9
სამცხე-ჯავახეთი	19122	5058	2.9
ქვემო ქართლი	48064	12726	7.4
შიდა ქართლი	29034	8335	4.4

წყარო: [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=241&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=241&lang=geo)

არსებული ვითარების გამოსწორება ბევრად არის დამოკიდებული სწორი „დიაგნოზის“ დასმაზე ცალკეული რეგიონისათვის. ბევრი მეცნიერ-ეკონომისტი იზიარებს აზრს, რომ აუცილებელია განხორციელდეს საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რანჟირება, რომელიც დაეყრდნობა რეგიონული განვითარების აგრეგირებულ საკვანძო მაჩვენებლებს. იგი საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის პოზიცია საქართველოს ეკონომიკურ რუკაზე. რანჟირების შედეგისას უნდა მოხდეს მაჩვენებელთა მნიშვნელოვანი მასივის ანალიზი, რომელიც ახასიათებს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის სხვადასხვა ასპექტებს. ანალიზის შედეგებით ფორმირდება საკვანძო მაჩვენებლები, რომელიც საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს რეგიონების პოზიციები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების პერსპექტივები, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

აღნიშნული, თავის მხრივ, დადებითად იმოქმედებს მთალიანად ქვეყნის პოზიციების გამყარებაზე.

რანჟირება საშუალებას მოგვცემს ანალიზის შედეგები, ასევე, გამოვიყენოთ როგორც რეგიონებში საინვესტიციო მიმზიდველობის შესაფასებლად, ისე იმ პრობლემების გამოსაკვეთად, რომელთა გადაწყვეტაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამა თუ იმ რეგიონის განვითარება. ევროკავშირთან დაახლოების პირობებში, სრულყოფილი რანჟირების საშუალებით გაიოლდება ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკის (რეგიონებს შორის უთანაბრობის შემცირება) გამოცდილების პრაქტიკული რეალიზება და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება.

საქართველოში ზემოაღნიშნული პრობლემების დაძლევაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ევროპული გამოცდილების გაცნობასა და გაზიარებას. იგი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ბოლო 20 წლის განმავლობაში ეხებოდა ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკის მართვასა და კონცეფციების ფორმირებას. კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, ეკონომიკური აღმავლობისა და სამუშაო ადგილების ზრდის საკითხები (რომელიც ჯერ კიდევ 2000 წელს აისახა ე.წ. ლისაბონის სტრატეგიაში) ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგში პირველ ადგილზე წამოწია, რის შედეგად, ევროკავშირის ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა ყველაზე კონკურენტუნარიანი და დინამიური უნდა გამხდარიყო, მსოფლიოს მასშტაბით. სტრატეგია მოიცავდა სხვადასხვა სექტორში პოლიტიკის მიმოხილვისა და აუდიტის სქემას, რაც (სხვა საკითხებთან ერთად) უზრუნველყოფდა პროცესის უწყვეტ მიმდინარეობას, დასაქმების, ეკონომიკური ზრდისა და კვლევის ხარჯების (ე.წ. R&D) კონკურენტუნარიან დონეს.

ევროპული თვალთახედვით, კონკურენტუნარიანობის ამაღლება განიხილება არა როგორც თვითმიზანი, არამედ, როგორც წინასწარ განსაზღვრულ, თანმიმდევრულ ქმედებათა შედეგი. 2005 წელს, ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების პრიორიტეტებთან ერთად, მიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა ინოვაციების ხელშეწყობაზე, განსაკუთრებით - რეგიონულ დონეზე. შედეგად, რეგიონული პოლიტიკა ქმედებათა ეპიცენტრი გახდა, რათა კავშირში კონკურენტუნარიანობის პოზიცია გაუმჯობესებულიყო. ინოვაციის დონის ამაღლება ძირითადი მომენტია ევროპული ბიზნესების დახმარების სფეროში და, ასევე, ევროპის მოსახლეობის წარმატებით დასაქმებაში.

რეგიონული პოლიტიკა, თანამედროვე ეტაპზე, აღარ განიხილება როგორც მხოლოდ რეგიონების დახმარების საშუალება, საშუალო სტატისტიკასთან გასათანაბრებლად. იგი, უფრო მეტად, ორიენტირებულია ტერიტორიული ერთეულების გააქტიურებასა და გაძლიერებაზე კონკურენციულ ბრძოლაში, რომელიც სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს მსოფლიო ბაზარის რეგიონალურ მიმართულებებში. წარმატებულ რეგიონულ ეკონომიკად ითვლება ის, რომელიც გლობალური წარმოების ქსელში ყველაზე რეალური მოთამაშე ხდება.

ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა განხილვისა და შეთანხმების მუდმივ პროცესში იმყოფება, რათა, დღევანდელ ცვალებად სამყაროში, მისი რელევანტურობის შენარჩუნება იქნას უზრუნველყოფილი. ერთ-ერთი უკანასკნელი რეფორმა, რომელიც 2006 წელს გატარდა, ოთხ ძირითად საკითხს ეყრდნობოდა: ა) ცოდნის ეკონომიკის განვითარება; ბ) მენეჯმენტი-სათვის მეტი პასუხიმგებლობის მინიჭება, ხოლო წევრი ქვეყნებისა და რეგიონებისათვის ფინანსური კონტროლის დეცენტრალიზება; გ) პროცედურების გამარტივება და დაჩქარება;

დ) ევროპის ყოველი რეგიონის პოტენციალის განვითარება და, ამავე დროს, რესურსების მიმართვა ყველაზე სუსტი წერტილებისაკენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მიმდინარე ეტაპზე, საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალურია შემდეგი საკითხები: [7, გვ. 13-14]

1. სტრატეგიული ხედვების და მართვის ელემენტების გააქტიურება რეგიონულ დონეზე;
2. რეგიონში რესურსების მოძიებისა და სხვადასხვა პროგრამებსა და ტერიტორიულ ერთეულებზე მათი ოპტიმალური გადანაწილების ობიექტური მეთოდების არსებობა;
3. რეგიონულ მართვაში ე.წ. „ახალი საჯარო მმართველობის“ თანამედროვე მიდგომის გამოყენება და პროცესის წარმართვა „თანამშრომლობითი თვითმმართველობის“ პრინციპებზე დაყრდნობით;
4. სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვების, სისტემატიზაციისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება და შესაბამისი პროცესების განვითარება რეგიონულ დონეზე;
5. ნორმატიული ბაზის არსებობა, რომელიც ჩამოაყალიბებს რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის მართვის ზოგად წესებს;
6. რეგიონებში და რეგიონებს შორის ინტეგრირებული პროგრამების მხარდაჭერა ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარებისათვის;
7. ადეკვატური ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება რეგიონული პროექტების შეუფერხებელი მართვისა და საერთაშორისო პროგრამების წარმატებული განხორციელებისათვის;
8. განხორციელებულ ქმედებათა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება იმ დამატებითი სიკეთის სადემონსტრაციოდ, რომელიც პროექტის რეალიზებამ მოუტანა;
9. პროგრამების ადმინისტრირებაში რეგიონში არსებული ტექნიკური, აკადემიური თუ სამეცნიერო პოტენციალისა და შესაძლებლობების ჩართვის ხარისხის ამაღლება;
10. პროექტების წარმატებით განხორციელებისათვის სპეციალურ პრინციპებსა და პირობებზე შეთანხმება, რომელიც შეიძლება ორიენტირებული იყოს: ღია ბაზრის წესების გათვალისწინებაზე, ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვაზე, თანაბარი შესაძლებლობების შექმნის პრინციპების გატარებაზე, პარტნიორულ და დემოკრატიულ მონაწილეობაზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ ჩართულობაზე და ა.შ.
11. პოლიტიკისა და პროგრამების იმპლემენტაციის დროს გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რაც დემოკრატიული მმართველობის მნიშვნელოვან კომპონენტად ითვლება;
12. პროგრამების მართვაში ეფექტური საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემების ინტეგრირება და ა.შ.

ევროპაში, მიმდინარე ეტაპზე, რეგიონული განვითარების ერთ-ერთი ტენდენციაა რეგიონთშორისი კავშირების გაღრმავება, პრობლემების დაძლევისადმი ძალისხმევის გაერთიანებისათვის. გამოცდილებისა და პრაქტიკის ურთიერთგაცვლის მიზნით, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებში, მაქსიმალური მხარდაჭერა აქვს ლოკალურ და რეგიონულ ქსელებს. აღნიშნულის მთავარი მიზანია რეგიონებს შორის და ურბანულ ქსელში შემოიტანოს დინამიკა, რათა ახალი პოლიტიკის იდეები შემოწმდეს და სწრაფად მოხდეს რეგიონული პოლიტიკის პროგრამებში მათი ინტეგრირება, დანერგვის მიზნით.

რეგიონების ერთმანეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით დაახლოება ევროკავშირის წევრობის დედაარსია. მრავალფეროვნების აღიარებასთან ერთად, ევროკავშირი მიისწრაფვის ახალი შესაძლებლობები დაამუშაოს საზოგადოებების ერთმანეთთან დაახლოების გზით. მრავალი გამოწვევა სტანდარტული ადმინისტრაციული ჩარჩოებით ვერ შეიზღუდება, მიუხედავად იმისა, საკითხი ეროვნულ დონეზე დგას თუ რეგიონულზე. მიიჩნევა, რომ ევროკავშირის ტერიტორიული მრავალფეროვნება არის ძალა, რომელიც შესაძლებელია მივმართოთ სრულიად ევროკავშირის მუდმივი განვითარებისაკენ.

საქალაქო და სასოფლო განვითარების დისბალანსი ევროპის პრობლემაცაა. ამის გამო, ყველა რეგიონის მართვა, განურჩევლად გეოგრაფიული მდებარეობისა და ევროპის რეგიონული განვითარების პროგრამები, მათი შემდეგომი დაახლოება სპეციფიკური გამოწვევების წინაშე დგანან. სპეციფიკური ევროპული პროგრამა, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ურბანული საზოგადოების ინიციატივა“, ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაინერგა და მან პოლიტიკის განახლების შესაძლებლობა წარმოშვა. ამ პროგრამებში ყურადღება გამახვილდა ურბანულ ადგილებში ძლიერ ადგილობრივ თანამშრომლობაზე, გაიზარა ადგილობრივი პასუხისმგებლობა, სადაც განიხილებოდა ისეთი გამოწვევები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებდა ცხოვრების დონეზე. ამას „URBACT“ პროგრამის ფარგლებში ქსელური მიდგომები გააქტიურდა. ყველაფერი მცირე მასშტაბიანი საცდელი ღონისძიებებით დაიწყო და მდგრადი ურბანული განვითარების ეს მეთოდოლოგია 2007 წლის შემდეგ ძირითადი პოლიტიკის ნაწილი გახდა. [7, გვ. 15]

თანამედროვე რეგიონალისტიკაში არაერთი აქტუალური საკითხი იკვეთება, რომელთა დაკავშირებით ბევრი კვლევა ჩატარდა და სათანადო დასკვნებიც გაკეთდა. ტენდენციები, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე იკვეთება, ძირითადად, რეგიონების სტრატეგიული განვითარებისა და შესაბამისი პროცესების მართვის სრულყოფის მიზნებიდან გამომდინარე ყალიბდება. მსგავსი მიდგომების გამოყენება ფრიად აქტუალურია საქართველოსათვის და მათი განხორციელების აუცილებლობა ქვეყნის განვითარების თანამედროვე პირობებისა თუ სამომავლო პერსპექტივებიდან გამომდინარეობს.

ჩვენს რეალობაში, რეგიონული განვითარების საჭიროებებისა და შესაბამისი პრიორიტეტების გამოვლენისთვის და მათ გადასაჭრელად, საჭირო ღონისძიებების ჯეროვანი განსაზღვრისთვის, მხედველობაშია მისაღები შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება: რეგიონებს შორის განსხვავებები არ არის სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობების იდენტური, რაც ამართლებს საჯარო ინტერვენციას. [6, გვ. 34] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს რეგიონული პოლიტიკა (ევროკავშირის სგავსად) გახდეს პოლიტიკა, რომელიც სწორად განსაზღვრავს მომავალ პერსპექტივებს და მიზნად ისახავს შესაძლებლობების განვითარებას, არა წარსულის პრობლემების კომპენსაციით, არამედ აქამდე გამოუყენებელი პოტენციალის მობილიზებით.



## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. **ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა.**, რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009;
2. **ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., ციმინტია კ.**, საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის კომპლექსური შეფასება, თბ., 2008;
3. **ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., ღლონტი ვლ.** საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე მიღწევები. თბ., „უნივერსალი“, 2012.
4. **იფშირაძე ა.**, რეგიონის ინვესტიციურ მიმზიდველობაზე მოქმედი ფაქტორები და მისი ამადლების გზები თანამედროვე ეტაპზე (იმერეთის მხარის მაგალითზე), ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, ქუ, ქუთაისი, 2015;
5. **ღავთაძე გ., ჩიხლაძე ნ.**, იმერეთის მხარის ეკონომიკური განვითარების პირობები და პერსპექტივები, მონოგრაფია, ქუთაისი, 2009;
6. **ჩიხლაძე ნ.**, საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რანჟირების საკითხისათვის. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 13. თბ., 2015.
7. ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა, ევროკავშირის ოფიციალურ გამოცემათა ოფისი, გამომცემელი: Raphaël Goulet, გენერალური დირექტორატი რეგიონალური პოლიტიკის საკითხებზე, L-2985 ლუქსემბურგი, აგვისტო 2009, ხელმისაწვდომია: [http://ec.europa.eu/regional\\_policy/international/pdf/external\\_ka.pdf](http://ec.europa.eu/regional_policy/international/pdf/external_ka.pdf);
8. **Boni Michal**, How to build the strategic orientation in governance? The Future of Regions in the Perspective of Global Changes, Regional Development Forum, Ministry of regional development, Warsaw 2008, vol. 3, Part one, p. 15-17;
9. **Gavtadze G.**, *Interrelation between Education and Economy and Their Impact on Regional Development*, 8<sup>th</sup> International Scientific Conference “Social Sciences for Regional Development 2013”, 10.10.-12.10.2013., Daugavpils University, Daugavpils, Latvia;
10. **Zuber Piotr**, Building the capacity for strategic governance of development at the national and regional level – the case of Poland, Regional Development Forum, The Future of Regions in the Perspective of Global Change, Part One, p. 18-25;
11. European Commission, Europe 2020, European semester, The 2013 Country-specific recommendations of the European Commission to the member states online, available at: [http://ec.europa.eu/europe2020/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/europe2020/index_en.htm)
12. <http://www.geostat.ge> - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი;